ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საარქივო სამმართველოს უფროსის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ.ბათუმი

12.12.2013 № 78

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის #47 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის, „საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის #46 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 17 ივნისის #22 დადგენილებით დამტკიცებული საარქივო სამმართველოს დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს მოხელეთა კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განმხილველი საპრეტენზიო კომისია შედეგი შემადგენლობით:

ა) **თენგიზ ცინცქილაძე** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **ქეთევან ხალვაში** - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

გ) ნაზიბროლა შარაშიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის და დაკომპლექტება დამუშავების განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

2. კომისიამ უზრუნველყოს კონკურსში მონაწილე პირთა განცხადებების მიღება, განხილვა და გადაწყვეტილების წარდგენა საკონკურსო კომისიაში.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს სამმართველოს ცენტრალური აპარატის კანცელარიამ (ლ. ხიტირი).

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭრის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში, მისამართი ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ.#9 და ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მისამრთი ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. #30, ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

სამმართველოს უფროსი ბურამ სალაძე